

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარების კონცეფცია

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარება, პროგრამული პრიორიტეტების შესრულება, პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი, საზოგადოებისთვის საინტერესო და მოთხოვნადი მედიაპროდუქციის შექმნა არის ერთერთი მთავარი და მნიშვნელოვანი, რისი უზრუნველყოფაც უნდა განახორციელოს მრჩეველთა საბჭომ მაუწყებლის მენეჯმენტთან ერთად.

მსოფლიო ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის მცდელობაშია და მდგრადი განვითარების ახალი გლობალური დღის წესრიგის ჩამოყალიბებას ცდილობს, რომელშიც პრესისა და გამომხატვის თავისუფლებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, მშვიდობიან და უსაფრთხო გარემოში, ადამიანის უფლებების პატივისცემის გათვალისწინებით.

ხარისხიანი მაუწყებლობა ხელს უწყობს მოქალაქეების, საზოგადოების ინფორმირებულობასა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, შესაბამისად, აფერხებს უსამართლობას და კორუფციას. ამდენად, მნიშვნელოვანია მაუწყებლობის განვითარებისთვის არსებობდეს ხელსაყრელი გარემო, რომლის დროსაც ჟურნალისტის დამოუკიდებლობის ხარისხი იქნება მაღალი და თავისუფალი ყოველგვარი ჩარევის/ზეწოლის/ცენზურისაგან, უსაფრთხოების მაღალი გარანტიებით.

თავისუფალი მედია გარემო ხელს შეუწყობს მოქალაქეების უფლებას იცოდეს სიმართლე! ადამიანის უფლებები ყველა სფეროს მოიცავს, შესაბამისად ვფიქრობ, რომ პრიორიტეტების დოკუმენტში მნიშვნელოვანია გაიწეროს, რომ პრიორიტეტია საზოგადოების უფლებები.

ამდენად, საზოგადოებრივი მაუწყებელი განსაზღვრული პრიორიტეტების გარდა აქცენტს უნდა აკეთებდეს ისეთ საკითხებზე, რომელიც უშუალოდ საზოგადოებას აინტერესებს, უნდა ტარდებოდეს ონლაინ გამოკითხვები თუ რა თემების ირგლივ სურს საზოგადოებას ინფორმაციის მიღება, ეს იქნება ადამიანის უფლებების დაცვის სფერო, სამართლიანი მართლმსაჯულების შესახებ, ეკონომიკური საკითხები, განათლების ხელმისაწვდომობა, ტურიზმის განვითარება თუ სხვა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო უფრო ეფექტურად უნდა იყოს ჩართული საქართველოს ევროინტეგრაციის ურთულესი პროცესის პოპულარიზაციისათვის, უნდა მომზადდეს და გადაიცეს, როგორც ტელევიზიით ასევე რადიოთი გადაცემები და საინფორმაციო-შემეცნებითი ჩანართები. აუცილებელია მომზადდეს გადაცემა ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის კუთხით, კერძოდ: ყოველკვირეული, 30 წუთიანი ქრონომეტრაჟით გადაცემა - „ევროპის დროით“ ან „ევროპის საათი“, სადაც მაღალპროფესიონალურ დონეზე მომზადდება სატელევიზიო გადაცემა, რომელშიც მთავარი თემა იქნება საქართველოს ევროპული ინტეგრაცია, გამოწვევები, პრობლემები, მიმდინარე მოვლენები. თითოეულ ასეთ გადაცემაში მარტივად, საზოგადოებისათვის ადვილად გასაგებად და შესაბამისი ვიდეო კადრების დახმარებით, უნდა გაშუქდეს ევროპის ინსტიტუტების შესახებ ინფორმაცია, რათა თითოეულ მსმენელს და მაყურებელს შეეძლოს სრული სურათი ევროსტრუქტურების შესახებ, იმ პერსპექტივებზე და უპირატესობებზე, რაც ჩვენს ქვეყანას წისვლასა და განვითარებას მოუტანს.

ასევე ამ ტიპის გადაცემებში შესაძლოა რამდენიმე წუთი დაეთმოს ექსპერტებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ემიგრანტების ცხოვრებას საზღვარგარეთ, უვიზო მიმოსვლის წესებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც პრაქტიკულად გამოადგება დაინტერესებულ საზოგადოებას.

ვფიქრობ, პროგრამულ ნაწილში სატელევიზიო მაუწყებელზე აუცილებელია იყოს - ჟურნალისტური გამოძიების შესახებ სხვადასხვა თემატიკაზე გადაცემები.

მნიშვნელოვანია არსებობდეს ონლაინ პლატფორმა, სადაც შესაძლებლობა ექნება ნებისმიერ ადამიანს დააფიქსიროს მისი მოსაზრება ან გააჟღეროს ინფორმაცია, რომლის გაცხადებაც უნდა საჯაროდ, კონკრეტულ პრობლემაზე.

აუცილებელია მოსახლეობის ინტერაქტიული გამოკითხვები საზოგადოებისთვის საინტერესო სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ასევე მოქალაქეთა მეტი ჩართულობისთვის მნიშვნელოვანი და დემოკრატიულია გადაცემაში ზარის შემოსვლა, ეს იქნება სხვადასხვა საკითხებზე დებატების, დისკუსიის დროს ნებისმიერი აზრის დასაფიქსირებლად.

ადამიანის უფლებებზე ყოველკვირეული გადაცემის მომზადება სხვადასხვა სოციალურ და სამართლებრივ თემებზე, შაბათის რუბრიკები - „საზოგადოებრივი დამცველი“, სადაც აუცილებლად გადაცემაში უფლებადამცველებიც იქნებიან წარმოდგენილნი, ადამიანის ძირითად უფლებებზე და თავისუფლებებზე სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით უფლებების გაცნობაზე, დაცვის ცალკეული მაგალითები, დარღვევის ფაქტების გასაჯაროება და სხვა.

გადაცემა „თემიდავიზია“ -ხედვა სასამართლო დარბაზებიდან, უფლებებზე სიუჟეტები და რედაქციაში გამოგზავნილი წერილების განხილვა და მათ კვალდაკვალ უფლებების დარღვევებზე რეაგირება.

ძალადობის, ბულინგის, სიძულვილის ენის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ მაუწყებელზე მომზადდეს სოციალური რეკლამები თუ ვიდეო რგოლები, სადაც ბავშვისთვის გასაგებ ენაზე იქნება ახსნილი თუ რას ნიშნავს თავისუფლება, თანასწორობა, თავისუფალი არჩევანის უფლება, სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და სიძულვილის ენა, რა არის ძალადობა, დისკრიმინაცია და ა. შ.

საბავშვო გადაცემები უნდა მომზადდეს ისე, რომ ბავშვი ამაღლდეს სულიერად, შემეცნებითად აღივსოს და ამავედროულად განიტვიტოს.

მნიშვნელოვანია მეტი პოზიტივი შევიტანოთ თითოეული ადამიანის ცხოვრებაში.

შშმ პირების საკითხებზე მომზადებული გადაცემები უნდა იყოს ძალიან დელიკატური, ემპათია არ უნდა გადაიზარდოს ადამიანის მიმართ შებრალება/შეცოდებაში, ან მისი შესაძლებლობების გროტესკულად წარმოდგენაში. აღნიშნული ძალიან სათუთი საკითხია და ჟურნალისტის მხრიდან მოითხოვს მაღალ სტანდარტს. მაგალითისთვის ვიტყვოდი, რომ იმიტომ რომ საზოგადოებაში სტიგმა შშმ პირების მიმართ გავანეიტრალოთ არ არის საჭირო მათ განსაკუთრებულ შესაძლებლობებზე ყურადღების გამახვილება, უმჯობესია მოხდეს მათი რეალური პრობლემების ირგვლივ კონცენტრირება.

ზოგადად, ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება უნდა ხდებოდეს, ყველა მხარის პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის სტანდარტების შესაბამისად.

სასურველია გარდა ჩვეულებრივი სტუდიებისა, გამოყენებულ იქნეს (შესაბამისი კონტრაქტით ან ქირავნობით) ბათუმის სხვადასხვა ტურისტული დანიშნულების შენობები, ადგილები სადაც მომზადდება გადაცემები. ერთ-ერთი ასეთი შესაძლოა იყოს ანბანის კომპის მოძრავი სართული - მოძრავი სტუდია, სადაც მომზადდება ერთსაათიანი გადაცემა „360 გრადუსი“, კვირაში ერთხელ და კვირის მნიშვნელოვან საკითხებზე. კომპიდან იშლება ლამაზი ხედები ბათუმზე და მთელი გადაცემის მიმდინარეობისას იქნება ბათუმის სხვადასხვა ხედები, კადრები. გადაცემაც იქნება უფრო საინტერესო და პირველად საქართველოს სატელევიზიო სივრცეში სიახლის შემომტანი, თანამედროვე ეფექტური გადაცემის მოსამზადებლად. ამავე დროს იგი ჩვენი ქალაქის პოპულარიზაციის, რეგიონში ტურიზმის განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვისთვის იქნება საინტერესო.

ასევე, ვფიქრობ, რომ ბათუმის ქალაქისა და აჭარის რეგიონის ტურისტული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სასტუმროების მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების შემოწმებაზე, ასევე კვების ობიექტების (გასტრონომიულ ტურიზმის განვითარების მიზნით) ხარისხის მონიტორინგზე - კონცეტირებული გადაცემების მომზადება.

აუცილებელია ახალგაზრდების ჩართვა, კონკურსი - გადაცემის მომზადებაზე, ეს იქნება რამდენიმეთვიანი პროგრამა, რითაც ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა თავისუფლად თავად შეარჩიონ თემატიკა, რაზედაც მოამზადებენ გადაცემას, მათ შორის თამაში გადაცემები, ვიქტორინები და მსგავსი.

ასევე, ახალი თაობის, ახალგაზრდა ჟურნალისტებისა და რეპორტიორების გამოსავლენად მნიშვნელოვანია პრაქტიკა და ანაზღაურებადი სტაჟირების უზრუნველყოფა, კონკურსების სამართლიანი სისტემის შემოღებით, რომელიც ხელს შეუწყობს მომავალი მედია თანამშრომლების გამოვლენას და ახალი კადრების მოზიდვას.

აუცილებელია სამეცნიერო პოპულარული შემეცნებითი გადაცემების მომზადება - დოკუმენტური ფილმები, ახალ ტექნოლოგიების დანერგვაზე, გლობალური დათბობისა თუ კლიმატის ცვლილებების საკითხებზე, გარემოს დაცვის საკითხებზე, სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებისა თუ მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტების/თარიღების შესახებ, ასევე ქალაქისა და რეგიონის დამსახურებული ადამიანების შესახებ, რომლებმაც საკუთარი წარმატება ქალაქისა და რეგიონის წარმატებად აქციეს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია დასავლეთ ევროპის ქვეყნების რეგიონების საზოგადოებრივ მაუწყებლებთან თანამშრომლობა და მათი გამოცდილების გაზიარებისათვის, შესაბამის მაუწყებლებში ყოველწლიურად ტელევიზიისა და რადიოს რამდენიმე თანამშრომლის გაცნობითი ხასიათის ვიზიტები, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენებას, საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტების უკეთ გაცნობასა და ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგვას.

უცხოურ ტელევიზიაბთან თანამშრომლობა, როგორც გამოცდილების გაზიარების, ასევე მატერიალური ბაზის დახვეწისა და გემოვნებიანი სატელევიზიო დიზაინის შესაქმნელად.

ბათუმისა და აჭარის სპორტმენებზე გადაცემების მომზადება, პირდაპირი ტრანსლირებების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისა და სპორტული მატჩების დროს.

ბათუმის კულტურული ცხოვრება (ქალაქისა და ჩვენი რეგიონის პოპულარიზაცია) - ბათუმში, რეგიონში ჩატარებული მუსიკალური, კინო ფესტივალებისა თუ სხვა კულტურულ ღონისძიებებზე ვრცელი გადაცემების მომზადება, ასევე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ისტორიაზე, მოვლა-

პატრონობაზე, მათი რეაბილიტაციის შესახებ გადაცემების მომზადება (ძველი ქალაქის შენარჩუნების აუცილებლობისთვის), ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასისა და თოჯინების თეატრის პრემიერების ჩვენების შემდეგ მათი გადაცემაში გაშვება, სახალხო დღესასწაულების გაშუქება, ბათუმის მუსიკისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, კამერული დასის კონცერტების გაშუქება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო უნდა გახდეს უფრო ღია საზოგადოებისთვის, თითოეული სხდომა, რომელზეც იხილება და მიიღება მაუწყებლის განვითარებისათვის აუცილებელი საკითხები, ბიუჯეტი, საკადრო საკითხები - უნდა გაიმართოს საჯაროდ, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედია ექსპერტებისა და დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობით, მათი მოწვევა და სხდომაზე აზრისა და პოზიციის დაფიქსირება, ხელს შეუწყობს მრჩეველთა საბჭოს საქმიანობას, ისევე როგორც მაუწყებლის განვითარებას, სწორი პოზიციების და გადაწყვეტილებების მიღებას. აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნეს მრჩეველების უფრო მეტად ჩართულობა პროგრამული პრიორიტეტებისა და ბიუჯეტის მიღების პროცესში. ამ ორი უნდა მიშენდებოდეს დოკუმენტის მიღებამდე მრჩეველთა საბჭომ უნდა გაიმართოს შეხვედრები მოსახლეობასთან, სხვადასხვა ჯგუფებთან, უმცირესობებთან, შშმ პირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. დოკუმენტების პროექტების მიღებამდე რამდენიმე კვირით ადრე აუცილებლად უნდა განთავსდეს აჭარის ტელევიზიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, უნდა გადაეცეს დაინტერესებულ საზოგადოებას. პრიორიტეტების დოკუმენტი ასევე აუცილებლად უნდა განხილულ იქნეს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებთან ერთად, შესაბამისი პროფესიებისა და კვალიფიკაციის ადამიანებთან, რომლებსაც პრაქტიკულად უფრო მეტი შეხება აქვთ იმ საკითხებთან რომელიც უნდა იქნეს გადაწყვეტილი ბიუჯეტით და პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტით.

აუცილებელია ამავე დროს მოწესრიგდეს მაუწყებლის თითოეული თანამშრომლისთვის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა. დაინერგოს ეფექტური ნორმები თანამშრომლების კვალიფიკაციის სისტემატიური გაზრდისთვის.

მათ შორის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლების სახელფასო საკითხების და ჟურნალისტებისა და რეპორტიორების ინტერესების დაცვა ორგანიზაციის შიგნით, მათი სურვილიდან გამომდინარე საკითხი წარმოადგენდეს თუ არა საჯარო მსჯელობის საგანს.

აუცილებელია ღიად და გამჭვირვალედ მოხდეს საკადრო საკითხების მოგვარება. დაინერგოს სამართლიანი სისტემა თანამშრომლების დაწინაურებისა და მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნებისათვის.

საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მნიშვნელოვანია დასავლეთ ევროპის ქვეყნების რეგიონების საზოგადოებრივ მაუწყებლებთან თანამშრომლობა და მათი გამოცდილების გაზიარებისათვის, შესაბამის მაუწყებლებში ყოველწლიურად ტელევიზიისა და რადიოს რამდენიმე თანამშრომლის გაცნობითი ხასიათის ვიზიტები, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენებას, საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტების უკეთ გაცნობასა და ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგვას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ნორმალურ პირობებში ფუნქციონირებისათვის, მაღალხარისხიანი მედია პროდუქციის შექმნისთვის აუცილებელია შესაბამისი, თანამედროვე, უსაფრთხო შენობის არსებობა, რომელშიც პირველ რიგში დაცული იქნება თანამშრომლებისა და მოწვეული სტუმრებისათვის უსაფრთხოების ნორმები, იქნება მაღალი დონის სტუდიები და პავილიონები. სათანადო დონეზე აღჭურვილი, ტექნიკურად გამართული სტუდიებში

ასევე აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ფართო აუდიტორიისათვის შესაბამისი განთავსების ადგილები. აჭარის ტელევიზიამ მაუწყებლობა დაიწყო 1987 წლის 4 ნოემბერს, 2013 წლის 25 დეკემბრიდან როგორც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, თუმცა მიუხედავად ამდენხნიანი მაუწყებლობის ისტორიისა, არ გააჩნია საკუთარი შენობა, სადაც იქნებოდა საკმარისი ფართი როგორც ჟურნალისტების, ოპერატორების, წამყვანებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის, ასევე თანამედროვე დონის სტუდიებისათვის. მნიშვნელოვანია ასევე აჭარის რადიო, იქ დაცული ოქროს ფონდით განთავსებულიყო ერთ სივრცეში ტელევიზიასთან ერთად და ესეც ხელს შეუწყობდა რადიოს განვითარებას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.

მაუწყებლის მრავალმილიონიანი ბიუჯეტის ფონზე კვლავ პრობლემად რჩება ეს საკითხი. არსებობს რამდენიმე გზა ამ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ მოგვარებისთვის. ერთერთი ყველაზე მისაღები და სწორი გზა იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოველწლიურად მზარდი ბიუჯეტის ფონზე, მაუწყებლის ბალანსზე არსებულ მიწის ნაკვეთზე თანამედროვე შენობა-ნაგებობის ასაგებად პროექტის განხორციელება, ნებართვის მიღება და გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სესხის აღება, რომელსაც დღეისათვის არსებული 8 მილიონზე მეტი თანხიდან გადაიხდის სესხის დასაფარად ყოველთვიურად გარკვეულ თანხას თავად მაუწყებელი. ეს თანხა მზარდი ბიუჯეტის ფონზე არ შექმნის პრობლემებს მაუწყებლის ყოველდღიური საქმიანობისათვის და გადაწყვეტს სერიოზულ პრობლემას, რომელიც აქვს მაუწყებელს სწორედ ნორმალური სამუშაო პირობების არ არსებობის გამო, რაც ამავე დროს სამწუხაროდ არის განვითარების შემაფერხებელი მთავარი გარემოება.

წლების განმავლობაში იხილებოდა სხვადასხვა ვარიანტები, თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსიდან გამომდინარე ვფიქრობ ყველაზე სწორი გზა იქნება საკუთარი ბიუჯეტიდან გაწეული ეკონომიისა და ყოველწლიურად გაზრდილი ხარჯების გამოყენებით სესხის გადახდა. შესაძლოა განხილულ იქნეს ამ პრობლემის მოგვარების სხვა გზებიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქმიანობის პროცესში ახალი იდეებისა და ინიციატივების განხორციელებით დარწმუნებული ვარ შესაძლებელი იქნება საზოგადოების აქტიური ჩართულობით მრჩველთა საბჭოს წევრებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების აზრის გათვალისწინებით, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლა, ჩვენი რეგიონისა და მოსახლეობის ინტერესების საკეთილდღეოდ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

მრჩველთა საბჭოს წევრობის კანდიდატი თამარ წილოსანი

25.09.2019 წ.